ხელშეკრულება N 38

სახელმწიფო შესყიდვები შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)
(მომსახურების შესყიდვა)

ზესტაფონი 18 თებერვალი/2022 წელი

ერთის მხრივ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მისი მერის ვასილ გველესიანის სახით (მისამართი: ქ.ზესტაფონი წერეთლის ქ№11 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს ,,სერვის ტრანსი"-ის დირექტორი ნანული ეჯიბაძის (მისამართი: ზესტაფონის, სტაროსელსკის ქ.N19) შემდგომში (შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით, 2014 წლის 03 იანვრის N37 საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური, ადმინისტრაციული შენობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის ბორის ჭიჭინაძის 2022 წლის 15 თებერვლის N01-222204696 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ -"ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტი და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "შემსრულებელი" პირი, რომელიც ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდებას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" კალენდარულ დღე, კვირა, თვე.

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მომსახურების შესყიდვა **კლასიფიკატორის კოდით 71631200 (ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახადი)**;

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტი

3.1. შესყიდვის ობიექტია - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური დათვალიერების მომსახურების შესყიდვა.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 300.00 (სამასი) ლარს (ერთი ავტომობილის მომსახურება 60 ლარი)

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორების შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად;

გ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

5.3. შემსრულებელს უფლება აქვს :

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ)მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება.

5.4. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოწოდების ვადაა 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

გ)განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

დ) კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები.

მუხლი 6. მომსახურების ხარისხი, გარანტია და მიწოდების ადგილი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს ხარისხიანი, წუნის აღმოჩენის შემთხვევაში შემსრულებელმა უნდა აღმოფხვრას ის საკუთარი ხარჯებით.

6.2. მომსახურების მიწოდების ადგილია ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N11.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2. ინსპექტირებას განახორციელებენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის N 43/259 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

მუხლი 8. მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მომსახურეობის შესრულების - აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და შემსრულებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

მუხლი 9. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

9.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში –ლარებში.

9.2. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

9.3. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება და ცვლილებ(ებ)ის შეტანა

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ, მაგრამ სამუშაოს ან/და მომსახურების შესრულების ან/და საქონლის მიწოდების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 10 დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, 05 დღიან ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. ნებისმიერი შეტყობინება, წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელმოწერილი უნდა გაეგზავნოს მეორე მხარეს და ჩაბარდეს მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

10.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებ(ებ)ის შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამ მუხლის ,,11.1." პუნქტის შესაბამისად.

10.4. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმოამდგენლების ხელლმოწერებით.

10.5. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული

ვალდებულების შესრულების მიზნით, განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

10.6. წინამდებარე მუხლი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა მუხლით.

მუხლი 11.. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (ხელშეკრულების შეწყვეტა)

11.1.ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯამური ღირებულების 0,0 2 % ოდენობით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2.1. ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

ა.ბ)პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ა.გ.) შემსრულებელი ვიდრე არ აანაზღაურებს პირგასამტეხლოს, შემსყიდველს უფლება აქვს დააკავოს აღნიშნული თანხა და პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

გ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.3. შემსრულებელი, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში გადაიხდის ჯარიმას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20(ოცი)%–ის ოდენობით.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2023 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 03 (სამი) ეგზემპლიარად, რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 17. მხარეთა იურიდიული მისამართები, რეკვიზიტები, ხელმოწერები

შემსყიდველი:
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი
ვასილ გველესიანი

სახელმწიფო ხაზინა-**TRESGE22**

ხაზინის ერთიანი ანგარიში 3001900000

ს/კოდი: **230087045**

მის: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N11

ტელ: 0(492) 25 26 26

მიმწოდებელი:
შპს ,, სერვის ტრანსი"
დირექტორი ნანული ეჯიბაძე

Nanuli Ejibadze
Digitally signed by Nanuli Ejibadze
Date: 2022.02.18 21:01:28 +04'00'

სს „ თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ანNGE17TB7379236020100005

ს/კოდი:430036418

მის: ზესტაფონი, სოფელი ქვედა საქარა
ტელ: 599567633;

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

2022წლის 18 ივნისი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 05 მარტის №43 259 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის წევრები ვადასტურებთ, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის თანახმად, კერძოდ: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების სავალდებულო პერიოდული ტექნიკური დათვალიერების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შპს ,,სერვის ტრანსი"-ის დირექტორთან ნანული ეკიბაძესთან.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი ვასილ გველესიანი

1. ბორის ჭიჭინაძე - (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი)

2. ალექსანდრე აბაშიძე – (სამუშაო ჯგუფის წევრი)

3. თემურ ფერაძე – (სამუშაო ჯგუფის წევრი)

4.ანდრო რობაქაძე (სამუშაო ჯგუფის წევრი)

წერილის ნომერი:**01-222204696**
თარიღი: **15/02/2022**

ადრესატი:

ვასილ გველესიანი
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ვასილ გველესიანს

ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური,

ადმინისტრაციული შენობის დაცვის და

შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის

განყოფილების უფროსის

ბორის ჭიჭინაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერია ყოველწლიურად აფორმებს ხელშეკრულებას შესაბამის იურიდიულ პირთან, მერიის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებების ტექ.დათვალიერების მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის #37 დადგენილებით ტექ.დათვალიერების (ინსპექტირების) ტარიფი შეადგენს 60 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე ხელშეკრულება გასაწევი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით (სულ 4 ავტომობილი), უნდა გაფორმდეს შპს ,,სერვის ტრანსთან"(შესაბამისი რეკვიზიტები თან ერთვის).

გთხოვთ, მერიის იურიდიული მომსახურებისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურმა გააფორმოს ხელშეკრულება შპს ,,სერვის ტრანსთან", თანხით--300 ლარი, შესყიდვის კოდია 71631200 (მომსახურებები მანქანა-დანადგარების ტექნიკური შემოწმების სფეროში). მომსახურების ვადად განისაზღვროს პერიოდი, არაუგვიანეს 2022 წლის 20 დეკემბრისა.

დანართი 2 ფაილად

ბორის ჭიჭინაძე

ადმინისტრაციული სამსახური-მატერიალურ- ტექნიკური,ადმინისტრაციული შენობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის განყოფილება-განყოფილების უფროსი

INVOICE

შპს "სერვის ტრანსი"

430036418

მისამართი:ზესტაფონის რაიონი, სოფელი ქვედა საქარა
ტელ: 599 56 76 33
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
SWIFT CODE: TBCBGE22
ა/ა GE17TB7379236020100005

თარიღი 11.02.2022
ინვოისი# 3

კომპ/სახელი: თვითმმართველი ერთეული ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, ს/კ 230087045

მისამართი: ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #11

ტელ: 0 (492) 25 26 26

დანიშნულება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	თანხა
გზის ვარგისიანობის ტესტირება	ცალი	1	60.00	60.00
				-
				-
				-
			ჯამი	60.00 Lari

ფასი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით

დირექტორი /ნ. ეჯიბაძე/

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №37

2014 წლის 3 იანვარი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობისა და საფასურების“ დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №522 - ვებგვერდი, 11.12.2017წ.

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურები.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №522 - ვებგვერდი, 11.12.2017წ.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

ტექნიკური რეგლამენტი
სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურები

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №522 - ვებგვერდი, 11.12.2017წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ტექნიკური რეგლამენტი „სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურები“ (შემდგომში – რეგლამენტი) შემუშავებულია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

2. რეგლამენტი ადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო ინსპექტირების პერიოდულობასა და საფასურებს შესაბამისი კატეგორიისა და დანიშნულების მიხედვით.

3. რეგლამენტში მოყვანილი მოთხოვნები ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში არსებულ და დადგენილი წესით რეგისტრირებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

4. რეგლამენტის მოთხოვნები არ ვრცელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა დამამზადებლის მიერ დადგენილი მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატება 25 კმ/სთ-ს და არასაგზაო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 მარტის დადგენილება №127 – ვებგვერდი, 05.03.2019წ.

მუხლი 2. რეგლამენტის მიზანი

რეგლამენტის მიზანია:

ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ერთიანი ორგანიზაციულ-ტექნიკური და ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბება;

ბ) სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ინსპექტირების საფასურის განსაზღვრა;

გ) საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან;

დ) ავტოსატრანსპორტო შემთხვევების, ადამიანისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის მინიმიზაცია.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №522 - ვებგვერდი, 11.12.2017წ.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ავტოსატრანსპორტო საშუალება** – ტერმინი განიმარტება „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ბ) **ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება (შემდგომში – ინსპექტირება)** – ტერმინი განიმარტება „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული მასა – ტვირთით, მძღოლითა და მგზავრებით შევსებული, აღჭურვილ მდგომარეობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალების მასა, რომელის ზღვარს ადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლი (მწარმოებლი);

დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების აღჭურვილი (საკუთარი) მასა – ავტოსატრანსპორტო საშუალების მასა ტვირთის (მგზავრების) გარეშე, კვების, გაგრილების, შეზეთვის და სხვა სისტემების შევსებული მოცულობებით საექსპლუატაციო დოკუმენტაციის შესაბამისად, დამამზადებლის მიერ გათვალისწინებული მაკომპლექტებელი ინსტრუმენტებით და აღჭურვილობით, სათადარიგო საბურავის ჩათვლით;

ე) ავტოსატრანსპორტო საშუალების ტვირთამწეობა – ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული მასისა და აღჭურვილი (საკუთარი) მასის სხვაობა;

ვ) პირველად გამოყენების თარიღი – ავტოსატრანსპორტო საშუალების პირველი რეგისტრაციის თარიღი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №522 - ვებგვერდი, 11.12.2017წ.

მუხლი 4. ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები

ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მათი დანიშნულებისა და მახასიათებლების მიხედვით, იყოფა კატეგორიებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიგა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული "სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ" შემაჯამებელი რეზოლუციის შესაბამისად (დანართი №1).

მუხლი 5. ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურები

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების პერიოდულობა (დანართი №2) განსაზღვრულია მათი კატეგორიების მიხედვით, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 6 მაისის 2009/40/EC დირექტივის – „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების შესახებ" საფუძველზე, საქართველოში არსებული საავტომობილო პარკის, საგზაო ინფრასტრუქტურისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სერვისის სისტემის მდგომარეობის გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №522 - ვებგვერდი, 11.12.2017წ.

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 მარტის დადგენილება №127 – ვებგვერდი, 05.03.2019წ.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაყოფა კატეგორიებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის შიგა ტრანსპორტის კომიტეტის მიერ მიღებული „სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციის შესახებ შემაჯამებელი რეზოლუციის“ (დოკუმენტი TRANS/WP-29/78/Rev.1/Amend/2, მიღების თარიღი 13.08.97) შესაბამისად

ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორია	ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული (ნებადართული მაქსიმა-ლური) მასა * ტ.	ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება
M1	–	არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება
M2	არაუმეტეს 5 **-ისა	8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალება
M3	5-ზე მეტი **	
N1	არაუმეტეს 3,5 ***-ისა	ტვირთის გადასაზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალება
N2	3,5-ზე მეტი არაუმეტეს 12,0 ***-ისა	
N3	12,0-ზე მეტი ***	
01	არაუმეტეს 0,75-ისა	მისაბმელები – ავტოსატრანსპორტო საშუალებით ბუქსირებადი
02	0,75-ზე მეტი არაუმეტეს 3,5-ისა	მისაბმელები და ნახევარმისაბმელები – ავტოსატრანსპორტო საშუალებით ბუქსირებადი
03	3,5-ზე მეტი **** არაუმეტეს 10-ისა	მისაბმელები და ნახევარმისაბმელები – ავტოსატრანსპორტო საშუალებით ბუქსირებადი
04	10-ზე მეტი ****	„

შენიშვნები:

1. გამოყენებული აღნიშვნები:

* – სპეციალურ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებული სპეციალური მოწყობილობა განიხილება, როგორც ტვირთის ეკვივალენტი;

** – შესახსრებული ავტობუსი შედგება ორი ან მეტი განუცალკევებლად დაკავშირებული სექციისგან, რომლებშიც განთავსებულია მგზავრთა სალონები, ერთმანეთთან დაკავშირებული გასასვლელით

მგზავრთა თავისუფალი გადაადგილებისთვის, განუცალკევებელი სექციები მუდმივად დაკავშირებულია ერთმანეთთან და მათი განცალკევება ხდება მხოლოდ სალონებში არსებული სპეციალური მოწყობილობით. შესახსრებული ავტობუსი, რომელიც შედგება ორი ან მეტი განუცალკევებელი, მაგრამ შესახსრებული სექციისგან და განიხილება, როგორც ერთი სატრანსპორტო საშუალება;

*** – ნახევარმისაბმელის ბუქსირებისთვის განკუთვნილი უნაგირა საწევრების ნებადართულ მაქსიმალურ მასაში იგულისხმება საწევრის (აღჭურვილ მდგომარეობაში) მასისა და იმ მასის ჯამი, რომელიც შეესაბამება ნახევარმისაბმელისაგან უნაგირა-ჩასაბმელი მოწყობილობის მეშვეობით საწევარზე გადაცემულ მაქსიმალურ სტატიკურ ვერტიკალურ დატვირთვას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საწევრის ტვირთის მაქსიმალური მასით;

**** – სპეციალურ საწევართან ცენტრალური ღერძით ჩაბმული ნახევარმისაბმელისთვის ან მისაბმელისთვის ნებადართულ მაქსიმალურ მასად მიიჩნევა მასა, რომელიც შეესაბამება მაქსიმალურ სტატიკურ-ვერტიკალურ დატვირთვას ღერძიდან (ღერძებიდან) საყრდენ ზედაპირზე, როდესაც ნახევარმისაბმელი ან მისაბმელი მაქსიმალურად დატვირთულია.

2. M_2, M_3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებები დამატებით დაყოფილია კლასებად:

ა) I – საქალაქო ავტობუსები – სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც აღჭურვილია სავარძლებითა და ფეხზე მდგომი მგზავრების გადასაყვანად ადგილებით, გასასვლელის გარდა;

ბ) II – საქალაქთაშორისო ავტობუსები – სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც აღჭურვილია სავარძლებით, მაგრამ რომლებშიც დასაშვებია გასასვლელში მდგომი მგზავრების გადაყვანა;

გ) III – შორი მიმოსვლის ავტობუსები – სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ მჯდომარე მგზავრებისთვის შორ მანძილზე საკმარისად მაღალი კომფორტულობით.

3. 0_2, 0_3, 0_4 კატეგორიის მისაბმელების (ნახევარმისაბმელების) დამატებითი კლასიფიკაცია ხდება ტიპების მიხედვით:

ა) ნახევარმისაბმელი – ბუქსირებადი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის ღერძ(ებ)ი განლაგებულია სრულად დატვირთული სატრანსპორტო საშუალების მასის ცენტრის უკან, აღჭურვილია უნაგირაჩაბმის მოწყობილობით, რომელიც საწევარს გადასცემს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დატვირთვებს. ნახევარმისაბმელის ერთი ან მეტი ღერძი შეიძლება იყოს წამყვანი საწევრის ამძრავით;

ბ) მისაბმელი – ბუქსირებადი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც აღჭურვილია, სულ ცოტა, ორი ღერძით და წევით – გადაბმის მოწყობილობით, რომელსაც შეუძლია მისაბმელის მიმართ ვერტიკალური გადაადგილება და წინა ღერძ(ებ)ის მიმართულების მართვა, მაგრამ გადასცემს საწევარს უმნიშვნელო სტატიკურ დატვირთვას. მისაბმელის ერთი ან მეტი ღერძი შეიძლება იყოს საწევრის ამძრავით;

გ) მისაბმელი ცენტრალური ღერძით – ბუქსირებადი ავტოსატრანსპორტო საშუალება წევით-ჩაჭიდების მოწყობილობით, რომელსაც არ შეუძლია მოძრაობა საწევრის მიმართ ვერტიკალურ სიბრტყეში. მისაბმელის სრული დატვირთვისას ღერძ(ებ)ი მასის ცენტრის მიმართ გადანაცვლებულია ისე, რომ საწევარს გადაეცემა მხოლოდ უმნიშვნელო ვერტიკალური დატვირთვა, რომელიც არ აღემატება მისაბმელის მასის 10%-ს ან 10 კნ-ს. (მითითებულ მნიშვნელობებს შორის უმცირესი), ერთი ან მეტი ღერძი შეიძლება იყოს წამყვანი საწევრიდან ამძრავით.

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის დადგენილება №522 - ვებგვერდი, 11.12.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 მარტის დადგენილება №127 – ვებგვერდი, 05.03.2019წ.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პერიოდულობა და საფასურები მათი კატეგორიისა და დანიშნულების მიხედვით

ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები		ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება და მახასიათებლები	ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების პერიოდულობა	საფასურები
1	M2 M3	8-ზე მეტი დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) მქონე, მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ერთი წლის შემდეგ გამოშვების თარიღიდან და შემდეგ ექვს თვეში ერთხელ	100 ლარი
2	N2 N3	3500 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე, ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ერთი წლის შემდეგ გამოშვების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს	100 ლარი
3	O3 O4	3500 კგ-ზე მეტი ნებადართული მაქსიმალური მასის მქონე მისაბმელები და ნახევრად მისაბმელები	ერთი წლის შემდეგ გამოშვების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს	60 ლარი
4	M1	სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ერთი წლის შემდეგ გამოშვების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს	60 ლარი
5	M1	ტაქსები	ერთი წლის შემდეგ გამოშვების თარიღიდან და შემდეგ ექვს თვეში ერთხელ	60 ლარი
6	N1	პიკაპი	ოთხი წლის შემდეგ გამოშვების თარიღიდან და შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. გამოშვების თარიღიდან 8 წლის შემდეგ – ყოველ წელიწადს	60 ლარი
7	N1	არაუმეტეს 3500 კგ-ზე ნებადართული მაქსიმალური მასისა და არანაკლებ ოთხი თვლის მქონე, ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების გარდა	ორი წლის შემდეგ გამოშვების თარიღიდან და შემდეგ ყოველ წელიწადს	60 ლარი
8	M1	არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) და არანაკლებ ოთხი თვლის მქონე, მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	ოთხი წლის შემდეგ გამოშვების თარიღიდან და შემდეგ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. გამოშვების თარიღიდან 8 წლის შემდეგ – ყოველ წელიწადს	60 ლარი.

შენიშვნა: M_1 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომლებიც აღჭურვილი არიან მხოლოდ ელექტროძრავით, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების საფასური განისაზღვრება 48 ლარით.